

შპს „თელგი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი.....	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	7
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	8
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	8
7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	8
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	8
9. ძირითადი საშუალებები.....	9
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	10
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
12. მარაგები	10
13. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები	10
14. საგადასახადო ვალდებულებები	10

შპს „თელგი“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	14,380,512	12,314,704
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(11,724,597)	(10,088,425)
საერთო მოგება		2,655,915	2,226,279
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	7	(62,511)	(87,185)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,683,502)	(1,910,762)
საოპერაციო ზარალი		909,902	228,332
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		42,565	23,471
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(3,768)	(23,857)
საპროცენტო ხარჯი		-	(3,607)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(141)	(6,375)
მოგება გადასახადების გადახდამდე		948,558	217,964
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		948,558	217,964

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:


გოჩა ბრეგვაძე
მმართველი დირექტორი

შპს „თელგი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	14,380,512	12,314,704
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(11,724,597)	(10,088,425)
საერთო მოგება		2,655,915	2,226,279
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	7	(62,511)	(87,185)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,683,502)	(1,910,762)
საოპერაციო მოგება		909,902	228,332
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		42,565	23,471
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(3,768)	(23,857)
საპროცენტო ხარჯი		-	(3,607)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(141)	(6,375)
მოგება გადასახადების გადახდამდე		948,558	217,964
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		948,558	217,964

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს:

გოჩა ბრეგვაძე
მმართველი დირექტორი

შპს „თელგი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	188,100	257,893
არამატერიალური აქტივები		1,626	1,955
სულ გრძელვადიანი აქტივები		189,726	259,848
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	385,098	243,888
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	359,500	132,877
სხვა მიმდინარე აქტივები		3,202	2,319
მარაგები	12	2,856,978	2,285,219
სულ მიმდინარე აქტივები		3,604,778	2,664,303
სულ აქტივები		3,794,504	2,924,151
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		183,738	2,738
გაუნაწილებელი მოგება		1,852,926	1,013,571
სულ კაპიტალი		2,036,664	1,016,309
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	1,734,057	1,878,857
საგადასახადო ვალდებულებები	14	23,783	28,985
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,757,840	1,907,842
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,794,504	2,924,151

შპს „თელგი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
31 დეკემბერი 2018	1,700	1,008,860	1,010,560
მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავალი	-	217,964	217,964
გამოცხადებული დივიდენდები	-	(213,253)	(213,253)
კაპიტალის ზრდა	1,038	-	1,038
31 დეკემბერი 2019	2,738	1,013,571	1,016,309
მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავალი	-	948,558	948,558
გამოცხადებული დივიდენდები	-	(109,203)	(109,203)
კაპიტალის ზრდა	181,000	-	181,000
31 დეკემბერი 2020	183,738	1,852,926	2,036,664

1. კორპორატიული ინფორმაცია

თელგი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2011 წლის 28 იანვარს საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 412675813.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების ყიდვა-გაყიდვა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქუთაისი, ტყიბულის I შესახ. N31.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა გოჩა ბრეგვაძე (პ/ნ 60002014215)

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანია უცხოურ ვალუტაში ახორციელებს ოპერაციებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეგულაციის აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა ნაგებობები	20-40
მანქანა-დანადგარები	10-20
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	2-10
კომპიუტერული ტექნიკა	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სხვა	20-50 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია პრობლემატური ან ვადაგადაცილებული მოთხოვნები და შესაბამისად არ მომხდარა შესაბამისი ანარიცხის გაკეთება.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდში მენეჯმენტის შეფასებით არ მომხდარა გაუფასურების ნიშნების მქონე მოთხოვნების იდენტიფიცირება და შესაბამისად რეზერვი არ შექმნილა.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს „თელგი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020	2019
შემოსავალი ელექტრო ტექნიკის რეალიზაციიდან	12,774,135	10,639,928
შემოსავალი სარემონტო მასალების რეალიზაციიდან	1,606,377	1,674,776
	14,380,512	12,314,704

6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2020	2019
ელექტრო ტექნიკის თვითღირებულება	(10,459,892)	(8,764,343)
სარემონტო მასალების თვითღირებულება	(1,264,705)	(1,324,082)
	(11,724,597)	(10,088,425)

7. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2020	2019
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(59,010)	(80,104)
რეკლამის ხარჯი	(3,501)	(7,081)
	(62,511)	(87,185)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
საიჯარო ქირა	(591,323)	(803,476)
შრომის ანაზღაურება	(482,661)	(509,038)
ბანკის საკომისიო	(237,214)	(192,957)
ცვეთა და ამორტიზაცია	(91,461)	(96,683)
საყოფაცხოვრებო ხარჯები	(75,962)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(28,800)	(36,595)
კომუნიკაციის ხარჯები	(11,456)	(98,690)
დაცვის ხარჯები	(8,472)	(8,965)
ფრანჩაიზთან დაკავშირებული ხარჯები	(5,621)	(5,169)
რემონტის ხარჯები	(4,260)	(652)
საკანცელარიო ხარჯები	(3,018)	(4,614)
მივლინების ხარჯები	(2,954)	(4,746)
საგადასახადო ხარჯი	(1,686)	(41,882)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(138,614)	(107,295)
	(1,683,502)	(1,910,762)

შპს „თელგი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2018	21,993	241,932	129,564	220,187	120,961	-	734,637
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	7,905	4,671	67,321	-	-	79,897
გასვლა წლის განმავლობაში	-	(9,413)	(3,072)	(40,510)	(52,193)	-	(105,188)
31 დეკემბერი 2019	21,993	240,424	131,163	246,998	68,768	-	709,346
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	1,208	4,859	18,714	10,658	8,785	44,224
გასვლა წლის განმავლობაში	(5,183)	(437)	(5,955)	(21,330)	-	-	(32,905)
31 დეკემბერი 2020	16,810	241,195	130,067	244,382	79,426	8,785	720,665
დაგრივლი ცვეთა							
31 დეკემბერი 2018	(5,910)	(147,568)	(97,886)	(81,475)	(71,736)	-	(404,575)
ცვეთა წლის განმავლობაში	(2,718)	(35,664)	(17,145)	(33,601)	(6,424)	-	(95,552)
გასვლა წლის განმავლობაში	-	9,412	2,852	1,319	35,091	-	48,674
31 დეკემბერი 2019	(8,628)	(173,820)	(112,179)	(113,757)	(43,069)	-	(451,453)
ცვეთა წლის განმავლობაში	(2,286)	(32,964)	(12,441)	(36,089)	(4,821)	(2,531)	(91,132)
გასვლა წლის განმავლობაში	3,628	437	5,955	-	-	-	10,020
31 დეკემბერი 2019	(7,286)	(206,347)	(118,665)	(149,846)	(47,890)	(2,531)	(532,565)
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2019	13,365	66,604	18,984	133,241	25,699	-	257,893
31 დეკემბერი 2020	9,524	34,848	11,402	94,536	31,536	6,254	188,100

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში	370,998	232,191
ფული სალაროში	14,100	11,697
	385,098	243,888

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	314,193	123,268
მოკლევადიანი ავანსები	45,307	9,609
	359,500	132,877

12. მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები შედგება ელექტრო ტექნიკისა და სამშენებლო მასალებისგან.

13. სავაჭრო ვალდებულებები და მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,675,881	1,859,298
მიღებული ავანსები	25,558	14,445
გადასახდელი ხელფასები	32,618	5,114
	1,734,057	1,878,857

14. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და გადავადებულ მოგების გადასახადს, კოდექსის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის ნაცვლად აღიარდება სხვა საგადასახადო ხარჯებთან ერთად.